13 აგვისტო
კვირა,
№ 120 (1756)
გამოდის 30-18 წელი.
ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

ЛЕЛО
Орган Союза спортивных обществ. и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო


ა. აბზიანიძე


შ. ახვლედიანი


მ. გორგაძე


ლ. გოლოვნია


მ. ერისთავი


გ. ჩიკვაიძე


მ. ცხვედაძე

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ფიზკულტურელის დღესთან დაკავშირებით და რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება:

1. აბზიანიძეს ალექსანდრე ისიდორეს-ძეს — ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს,

2. ახვლედიანს შოთა ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის გამგეობის მოადგილეს.

3. გორგაძეს მიხეილ ანფიმის-ძეს — საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

4. გოლოვნიას ლევ ვასილის-ძეს — საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

5. ერისთავს მზია ალექსანდრეს ასულს — საქართველოს ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგურის დირექტორს.

6. ჩიკვაიძეს გიორგი ბაგრატის-ძეს — საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს.

7. ცხვედაძეს მიხეილ ზაქარიას-ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წლის 11 აგვისტო.

## [...]ნივერსიადამდე ორი კვირაა

[...] კვირაღა დარჩა სოფიის [...]სიადის დაწყებამდე, რომ[...] მონაწილეთა რაოდენობის [...] რეკორდული იქნება. წინას[...] ცნობებით სტადიონებზე, [...]ლ მოედნებზე, დარბაზებსა [...]ულისნო ბილიკებზე 1.500-[...]ტუდენტი იბრძოლებს. უნი[...]ადის საორგანიზაციო კომი[...]ერ კიდევ იღებს მონაწი[...]ონაცხადებს. ირანის სპორ[...] ფედერაციებმა სულ ახლა[...]მბეს საორგანიზაციო კო[...] წევრებს, რომ ისინი მო[...]ობას მიიღებენ კალათბურ[...] და ფრენბურთელთა ტურ[...]. ჰოლანდიელები სპორტის [...] სახეობის გარდა გამოვლენ [...]ობაში, ფარიკაობასა და [...]ოთში. უნგრელთა დელეგა[...]ერსიადაზე 71 სპორტსმე[...]ასახლერება. ინგლისელთა [...] შემადგენლობაში ბევრი [...]თქმული სპორტსმენია: [...]ს ექსრეკორდსმენი სიმა[...]ხტომაში ქალთა შორის ტ. [...], რომის ოლიმპიადის პრი[...]ყალმი ხტომაში ე. ფერი[...]ა.



**თბილისის სპორტის სასახლე**

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## დღეს მშენებლის საკავშირო დღეა. დიდება საბჭოთა მშენებლებს— ძვირფასი პროფესიის ადამიანებს!

## ტელეფონთან — მოსკოვი!

(ტელეფონით. ჩვენი სპეც. კორ.).

12 აგვისტოს ლენინის სახელობის სტადიონზე გაიხსნა საბჭოთა კავშირის პროფკავშირების სპარტაკიადა, რომელიც დაემთხვა ფიზკულტურელის საკავშირო დღეს.

სპორტსმენების დიდ ზეიმად გადაიქცა სპარტაკიადის გახსნა, რომელსაც დაესწრნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები. სპარტაკიადა მიძღვნილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისადმი. საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობა მიიღეს 15 მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრებმა გუნდებმა, უმაღლესი სასწავლებლების სპორტსმენებმა. თავიანთი ოსტატობა დიდძალ მაყურებლებს აჩვენეს 1.000-მაველოსიპედისტმა, 150-მა მოტოციკლისტმა და ამდენივე ავტომობილისტმა. ტანმოვარჯიშეთა საჩვენებელ გამოსვლაში მონაწილეობა მიიღო 2.500-მა სპორტსმენმა.

დღეს მოსკოვის სპორტულ მოედნებზე დაიწყება სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ფინალური შეხვედრები.

საქართველოს ფრენბურთელ ვაჟთა გუნდი ტაჯიკელებთან გამარჯვების შემდეგ გავიდა ფინალში. ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა ბოლო შეხვედრის წაგების გამო უნდა იბრძოლოს VI-XII ადგილებისათვის.

კალათბურთელთა ფინალში გავიდა ჩვენი რესპუბლიკის ქალთა გუნდი. ვაჟთა ნაკრებმა, დამარცხდა რა ლიტვის (56:65) და ლენინგრადის (57:65) გუნდებთან, ვერ მოიპოვა უფლება იბრძოლოს ჩემპიონის სახელისათვის.

**ო. გელაშვილი**

## ტელეფონთან — ბაქო!

([ტელე]ფონით, ჩვენი საკ. კორ.). [...]დენიმე დღეში აზერბაი[ჯანის] [დე]დაქალაქ ბაქოში, რესპუ[ბლიკის] სტადიონზე აღიმართება [...]თო VII საკავშირო სპარ[ტაკიადის] გახსნის ალამი. მოკავში[რე] [რეს]პუბლიკებისა და ქალაქების [...]ვისა და ლენინგრადის [...]მეტი ნორჩი სპორტსმენი პირველობის შეეცილება ერთმანეთს სპორტის 14 სახეობაში.

შესამჩნევად გაიზარდა სპორტსმენთა ძირითადი მასის სპორტულ-ტექნიკური მაჩვენებლები. თუ პირველ სპარტაკიადაზე მონაწილეთა 33 პროცენტმა აჩვენა ჰოზრდილთა II თანრიგის ნორმატივი, ამჟამად ეს ციფრი ორჯერ გაიზარდა.

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადებში ყველაზე დიდ წარმატებებს მოსკოველი მოსწავლეები აღწევდნენ, მათ ოთხჯერ დაიკავეს პირველი ადგილები. წარმატებით გამოდიან ამ ღონისძიებაში უკრაინისა და საქართველოს წარმომადგენლებიც.

ბაქოში მთავრდება უკანასკნელი სამზადისი. საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ქერიმოვი, მზადაა ნორჩ სპორტსმენთა მისაღებად. სპარტაკიადის დღეებში მათ განკარგულებაში იქნება რესპუბლიკის საუკეთესო ბაზები. გახსნის დღისათვის ბაქოს ნორჩი ფიზკულტურელები მრავალრიცხოვან მაყურებლებს უჩვენებენ ლამაზ ტანვარჯიშულ გამოსვლებს.




ეროვნული ბიბლიოთეკა

## საზოგადოებრივ მწვრთნელებს — სამკერდე ნიშნები

საზოგადოებრივ მწვრთნელად წლების მანძილზე ნაყოფიერი მუშაობისათვის რესპუბლიკის სპორტკავშირმა „საზოგადოებრივი ინსტრუქტორის" სამკერდე ნიშნით დააჯილდოვა შ. ბალაშვილი (წითელწყარო), ფ. ბალაშვილი (წითელწყარო), ვ. ბეროშვილი (წითელწყარო), დ. ბაბუნაშვილი (ქუთაისი), ფ. გაბიტაშვილი (ლაგოდეხი), ვ. მაჭარაძე (ზესტაფონი), რ. ვართანოვა (ახალქალაქი), ლ. ღუღუნიშვილი (ზესტაფონი), გ. ღვინიევი (ლაგოდეხი), ჰ. ორაგველიძე (ლანჩხუთი), ნ. დაუთაშვილი (დმანისი), ვ. დევნოზაშვილი (დმანისი), ლ. ჯიშიაშვილი (თერჯოლა), გ. ელიზბარაშვილი (წითელწყარო), გ. ებრალიძე (ლანჩხუთი), გ. იოსებაშვილი (ახმეტა), ვ. კახიძე (თერჯოლა), ს. კაზარიანი (სოხუმი), ი. კიკიაშვილი (ახმეტა), ე. კერესელიძე (ქუთაისი), ბ. ყურაშვილი (ბოლნისი), თ. ყიფიანი (ქუთაისი), მ. ლოსაბერიძე (ქუთაისი), გ. ლობჟანიძე (ლაგოდეხი), ვ. მდივნიშვილი (ზესტაფონი), ს. მამედოვი (დმანისი), დ. მენაღარიშვილი (ლანჩხუთი), ს. მამშინი (სოხუმი), ნ. მაჭავარიანი (ქუთაისი), ვ. ყარალაშვილი (წითელწყარო), უ. ჩოხელი (წითელწყარო), ნ. ჩხაიძე (ლანჩხუთი), ბ. ჩოლოყუა (ტყვარჩელი), გ. ჩაჩხიანი (ქუთაისი), თ. რობაქიძე (ზესტაფონი), გ. რობაქიძე (ზესტაფონი), ა. სამადაშვილი (დმანისი), გ. შარმიაშვილი (ლაგოდეხი), ე. შუბითიძე (ლაგოდეხი), ს. ცხადაძე (ზესტაფონი), ვ. ჭედია (სოხუმი), გ. ბაიდანოვა (ფოთი), ს. ბუაძე, ფ. ჭედია, მ. ნარსია, ნ. შონია, მ. სიჭინავა (ყველა ფოთიდან), ყ. ბათეევი, ლ. გასიევი, ლ. ორლოვა, ე. დაგაბიევი, ა. კასაური, მ. ცხოვრებოვი (ყველა სამხრეთ ოსეთიდან).

## თავმჯდომარემ დანაპირები უნდა შეასრულოს

ხაშურის სპორტკავშირში მოეყარათ თავი ხაშურის რაიონის სპორტის ხელმძღვანელებს, დავობდნენ, ორიოდე წლის წინათ დაწყებული საცურაო აუზის მშენებლობის გაგრძელების საკითხს იხილავდნენ. მალე საუბარი სოფლის ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობას შეეხო. ამ რაიონის რამდენიმე კოლექტივის ნახვა მქონდა განზრახული. ვთხოვე ჩამოეთვალათ ფიზკულტურული კოლექტივები, მრავალთა შორის ჩემი არჩევანი ზემო ქართლის კოლმეურნეობაზე შეჩერდა, უფრო იმიტომ, რომ შარშან ამ ფიზკულტურულ კოლექტივს კარგად იხსენიებდნენ, ამასთან, გამსხვილების შემდეგ იგი ოთხ სოფელს —ვაყას, გომს, სატივესა და აგარებს აერთიანებს.

შეეყომანდნენ რაისაბჭოში: გახურებულია მინდვრის სამუშაოები, ვეჭვობთ ვინმეს ნახვა მოვახერხოთ კანტორაშიო. ჩვენ კი გამგეობის თავმჯდომარის, კომკავშირული ორგანიზაციის მდივნისა და ფიზკულტურული მუშაობის ხელმძღვანელის ნახვა გვსურდა ძირითადად.

დავრეკეთ და ჩვენდა საბედნიეროდ ტელეფონთან მოვიდა კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი და ფიზკულტურის ინსტრუქტორი მ. ნოზაძე. ნახევარ საათში კანტორაში ვიყავით: ხაშურის სპორტკავშირის თავმჯდომარე კ. ხვედელიანი, „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარე მ. კვინიკაძე, „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თანამშრომელი ვ. გოგრიჭიანი და მე (ჩვენი თხოვნის მიუხედავად კომკავშირის რაიკომიდან არავინ ინება წამოსვლა).

დროის მოგების მიზნით ჯერ ინსტრუქტორის შინასამეურნეო, ხოლო შემდეგ ბაზების, სპორტული წრეების საქმიანობის გაცნობა და ფიზკულტურელებთან გასაუბრება გადავწყვიტეთ.

ამ ფიზკულტურული კოლექტივის ავკარგზე გზაში გვიამბეს ხაშურელებმა და სინანულით დასძინეს, რომ გამგეობის თავმჯდომარემ ნ. გოგოლაძემ სამსახურიდან დაითხოვა ყოფილი ინსტრუქტორი, უმაღლესი ფიზკულტურული განათლების მქონე ვ. გელაშვილი, რომელიც უკეთესად მუშაობდა, ხშირად ატარებდა ღონისძიებებს, გამოყავდა გუნდები რაიონულ შეჯიბრებებში, ასრულებდა გეგმებს. მის ნაცვლად ინსტრუქტორისათვის განკუთვნილი გასამრჯელო — 45 შრომადღე მ. ნოზაძეს, როგორც კომკავშირული ორგანიზაციის მდივანს, დაუნიშნა და დაავალა „ვინძლო ხანდისხან იქნება ფიზკულტურელებსაც მოხედო ხოლმეო". ეს იყო კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის არასწორი გადაწყვეტილება, საკოლმეურნეო სახსრების თვითნებური გამოყენება. იქნებ მის ამ მოქმედებაზე არაფერი გვეთქვა, მ. ნოზაძეს რომ ოდნავ მაინც გაემართლებინა იმედები.

კოლმეურნეობის კანტორაში შესულებს ხელში ავტოკალმით შემოგვეგება კომკავშირის კომიტეტის მდივანი და „ფიზკულტურის ინსტრუქტორი" — მ. ნოზაძე, მაგიდაზე მიმოფანტულ რვეულებს, ფიზკულტურის კოლექტივის სამუშაო გეგმას, სექციების აღრიცხვის ჟურნალებს და სხვ. ჯერაც არ შეშრობოდა მელანი. სტუმრების მომლოდინე დაფათურებულა „ინსტრუქტორი", მაგრამ მთელი წლის სამუშაოს ნახევარ საათში შესრულება ადამიანთა ყველა შესაძლებლობათა ზღვარს აღემატება, მანაც ხელათ მონახა გამოსავალი — მისი წინამორბედის მიერ შედგენილ საქმეებს სახე შეუცვალა — გადაასწორა თარიღები, ინსტრუქტორის გვარი, მაგრამ ერთი გამორჩა მხედველობიდან: ლურჯი მელნით შედგენილ გეგმებში აშკარად „ყვიროდა" უადგილოდ შეჭრილი იისფერი მელანი.

ეს იყო ხაშურის რაიონის ზემო ქართლის გამსხვილებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ რაიონის სპორტკავშირთან შეთანხმების გარეშე „შერჩეული" ფიზკულტურის ინსტრუქტორის საქმიანობის პირველი სამაგალითო ნიმუში. მ. ნოზაძემ აღიარა: რა ვქნა, კომკავშირულ საქმეებს ვუნდები და ფიზკულტურისათვის დღემდე ვერ მოვიცალე(!), ამასთან არც ორგანიზაციული მუშაობა მესმის, ისე როგორც ეს საჭიროა გამსხვილებული კოლექტივის ფიზკულტურის მეთოდისტისათვისო.

შვიდი ბრიგადაა კოლმეურნეობაში, თვითეული ადვილად გაუტოლდება ზოგიერთ პატარა კოლმეურნეობას, 1250 კოლმეურნეა. 700-ზე მეტს ითვლიან შრომის უნარიანს და ცხადია მათ შორის ბევრია ფიზკულტურისა და სპორტის მოყვარული. განსაკუთრებით ჭიდაობა, მძლეოსნობა და სპორტთამაშები ჰყვარებიათ ვაყელ, გომელ და სატიველ ახალგაზრდებს, ეს გამგეობის თავმჯდომარემაც აღიარა. ისინი არც შრომაში ყოფილან ჩამორჩენილნი, მაგრამ რატომღაც არად ჩააგდეს მათი სურვილი და ასე ხელაღებით გამოაცალეს ფიზკულტურული მუშაობის,

შეიძლება ბრწყინვალე არა, მა... რამ მაინც უკეთესი ხელმძღ... ლი.

მიმდინარე სპორტულ სეზო... ზემო ქართლის კოლმეურნე ფ... კულტურელებმა არ იციან რა ა... სამატჩო შეხვედრა, საკოლმე... ნეო პირველობა, რაიონული შ... ბრება. არ იციან იმიტომ, რომ ... თი წამოწყება რამდენჯერმე უ... რადღებოდ იქნა დატოვებულ... ნოზაძის მიერ. რაისაბჭოდან ... სულ მიმართვებსა და დებულ... რაიონულ შეჯიბრებებში მონ... ლეობის შესახებ რეაგირების ... რეშე, გულდასმით ინახავს საქ... ში.

ფიზკულტურული კოლექ... საქმიანობის შესწავლის შემ... მოვახსენეთ კოლმეურნეობის ... გეობის თავმჯდომარეს ნ. გ... ლაძეს, ბევრ რამეში დაგვე... გამგეობის თავმჯდომარე, ... თავის გამართლებაც სცადა, ... ვითქვა: ფიზკულტურის კოლ... ვის საქმიანობის გარდაქმნა, ... ვროს გადახდა, მაგრამ ვერ ... დით მართლა დაინტერესდ... თუ ჩვენი თავიდან მოშორებ... რდა. ამას დაგვანახვებს უახლ... მომავალი.

ო. ივდოშვი...
ჩვენი სპეც. კორესპონდ...

## როცა გული არ შესტკივათ

აბაშის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში სერიოზული ყურადღება ექცევა ახალგაზრდებს შორის ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს. განსაკუთრებით კარგადაა დაყენებული ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ძველი აბაშის ფ. ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ ნაყოფიერად მუშაობენ ფეხბურთის, ფრენბურთის, მძლეოსნობის და სხვა სექციები. ახალგაზრდობის ძალებით მოეწყო სპორტული მოედნები, კოლმეურნეობის გამგეობამ მიმდინარე წელს 200 მანეთის სპორტული ინვენტარი შეიძინა. კოლმეურნეობის სპორტსმენები სისტემატურად მონაწილეობენ რაიონის პირველობებზე.

ასევე ნაყოფიერად მუშაობენ ნაესაკოვოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ფიზკულტურული კოლექტივები.

მაგრამ ასე როდია ყველგან.

პირველი მაისის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდები მოწყვეტილი არიან ფიზკულტურასა და სპორტს.

— ბევრჯერ მივმართეთ კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. არავინ გვაქცევს ყურადღებას. აქ თითქმის არაფერს აკეთებს ფიზკულტურული კოლექტივი. სპორტული სექციები მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ, არ გაგვაჩნია სპორტული მოედნები — ასე გულდაწყვეტით განაცხადეს კოლმეურნეობის ახალგაზრდებმა. მსგავსი მდგომარეობაა მარნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებშიც.

საინტერესოა, ფიქრობენ თუ არა პირველი მაისისა და მარნის ფიზკულტურული კოლექტივების ხელმძღვანელები ფიზკულტურული მუშაობის გაშლას?

ი. თოფურია

## გაიმარჯვეს კისისხეველებმა

თელავის სპორტულ დარბაზ... ჩატარდა თელავის რაიონის ნებ... ყოფლობითი სასოფლო სპორტ... საზოგადოება „კოლმეურნის" შ... ჯიბრება გუნდურ პირველობა... ქართულ ჭიდაობაში. პირველობა... რომელიც ორგანიზებულად ჩატა... და, დიდძალი მაყურებელი ესწრ... ბოდა. შეჯიბრებაში მონაწილეობ... დნენ სოფელ იყალთოს, კისისხე... ვის, ვარდისუბნის, ბუშეტის კოლ... მეურნეობების მოჭიდავეთა გუ... დები. ფინალში ერთმანეთს შეხვ... დნენ იყალთოს და კისისხევის გუ... დები. პირველი ადგილი დამსახუ... რებულად მოიპოვა სოფელ კ... სისხევის კოლმეურნეობის მოჭ... დავეთა კოლექტივმა, მეორე ადგი... ლზე გამოვიდა იყალთოს გუნდ... ხოლო მესამეზე — ბუშეტის მოჭ... დავეები.

ჭიდაობის კარგი ტექნიკა გამო... მჟღავნეს და მაყურებელთა მოწ... ნება დაიმსახურეს — თ. გრძ... ლიშვილმა, ვ. ნადირაშვილმა (ს... ფელ კისისხევი), წიკლაურმა, ... გოლაშვილმა (იყალთო), ნ. ბ... ხაშვილმა, ვ. კობიაშვილმა (ვა... დისუბანი), ზ. ბუცხრიკიძემ, ... კუკუჯანაშვილმა (ბუშეტი).

უპასუხისმგებლობა გამოიჩინ... და შეჯიბრებაზე არ გამოცხადდ... რუისპირის, სანიორის, ვანთ... ფშავლის მოჭიდავეები, რაც ... ზე მეტყველებს, რომ ამ სოფლ... კოლმეურნეობებში სპორტი პ... ვით არ სარგებლობს.

ს. შეშაბერი...



სურათზე: ბაკურიანის ფრენბურთის მოედანი.

ფოტო ი. ბორიაშვილისა.



☆

ქუთაისში ჩატარდა სამშენებლო ორგანიზაციების სპარტაკიადა, რომელიც მშენებლის დღეს მიეძღვნა.

• • •

**სურათზე:** ქუთაისის და თბილისის საპროექტო დაწესებულებათა ნაკრები გუნდების შეხვედრა კალათბურთში.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

☆

ქალაქებსა და რაიონებში

## ბეგეჭკორი

ჩატარდა სალხინოს პიონერთა ბანაკის სპარტაკიადა ფრენბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, ჭადრაკსა და შაშში. ფრენბურთსა და კალათბურთში პირველი ადგილები დაიკავეს მეოთხე რაზმის გოგონებმა და ჭაბუკებმა. ჭაბუკებს შორის ჭადრაკსა და შაშში პირველი ადგილი წილად ხვდა ა. ჭილაიას (მეოთხე რაზმი), ხოლო გოგონებში ნ. სხულუხიას (მესამე რაზმი). მძლეოსნობაში ჭაბუკების რბენაში 60 მეტრზე შედეგით 8,0 წამი, პირველი მოვიდა ფინიშთან დ. ოდიშარია, გოგონებში — ფ. ჭყონია — შედეგი 8,9 წამი, სიგრძეზე ხტომაში I ადგილი დაიკავა ა. გვალიამ, ხოლო სიმაღლეზე ხტომაში რ. სილაგაძემ. სპარტაკიადაში გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს მეოთხე რაზმის პიონერებმა.

**გ. ლაფანაშვილი**

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 13 აგვისტოსათვის

I-X ადგილები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 19 | 15 | 1 | 3 | 46:19 | 31 |
| ც ს კ ა | 20 | 13 | 3 | 4 | 55:28 | 29 |
| „დინამო" (კიევი) | 20 | 12 | 5 | 3 | 41:19 | 29 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 20 | 9 | 8 | 3 | 35:23 | 26 |
| „ავანგარდი" (ხარკოვი) | 19 | 10 | 6 | 3 | 21:13 | 26 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 20 | 10 | 5 | 5 | 38:21 | 25 |
| „დინამო" (თბილისი) | 20 | 10 | 5 | 5 | 36:22 | 25 |
| „სპარტაკი" (ერევანი) | 20 | 8 | 7 | 5 | 27:26 | 23 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 20 | 9 | 5 | 6 | 30:33 | 23 |
| ს კ ა (როსტოვი) | 19 | 9 | 4 | 6 | 37:18 | 22 |
| XI-XXII ადგილები | | | | | | |
| „დინამო" (მოსკოვი) | 20 | 8 | 5 | 7 | 33:29 | 21 |
| „შახტიორი" (სტალინო) | 19 | 6 | 5 | 8 | 18:21 | 17 |
| „კაირატი" (ალმა-ატა) | 20 | 6 | 5 | 9 | 23:32 | 17 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 20 | 6 | 5 | 9 | 25:35 | 17 |
| „მოლდოვა" (კიშინიოვი) | 20 | 6 | 4 | 10 | 30:35 | 16 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 20 | 4 | 8 | 8 | 20:34 | 16 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 20 | 5 | 5 | 10 | 24:31 | 15 |
| „ადმირალტეეცი" (ლენინგრადი) | 20 | 5 | 5 | 10 | 22:30 | 15 |
| „ბელარუსი" (მინსკი) | 20 | 4 | 5 | 11 | 17:31 | 13 |
| „დაუგავა" (რიგა) | 20 | 3 | 6 | 11 | 21:41 | 12 |
| „სპარტაკი" (ვილნიუსი) | 20 | 3 | 5 | 12 | 18:46 | 11 |
| „კალევი" (ტალინი) | 20 | 0 | 7 | 13 | 14:43 | 7 |

# ვ. ბაგიროვის პირველი დამარცხება

**ბათუმი. (ჩვენი სპეც. კორ.).** XXIX საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალის V ტურში არ შედგა მხოლოდ გიპსლის-გურგენიძის შეხვედრა პირველის ავადმყოფობის გამო.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ბაგიროვ-კლოვანის პარტიამ, რომელიც გამოირჩეოდა დიდი დაძაბულობით. ბრძოლა დაიწყო სიცილიური დაცვით. ბაგიროვმა მხნედ გაითამაშა იგი და უკვე დებიუტში შესწირა მნიშვნელოვანი ცენტრალური პაიკი. კლოვანმა თამამად მიიღო გამოწვევა და ტაქტიკურ გართულებებს ალღო აუღო. კრიტიკულ მომენტში მან განახორციელა ფიგურის შეწირვა და მძაფრად შეუტია ბაგიროვის მეფეს. პარტია ალბათ ყაიმით დამთავრდებოდა, რომ საქმეში არ ჩარეულიყო ცაიტნოტი. აზერბაიჯანის ჩემპიონმა ვერ მოასწრო საკონტროლო სვლების გაკეთება. 34-ე სვლაზე მას საათზე ალამი ჩამოუვარდა და წაგებაც მიესაჯა.

ყველას აკვირვებს ახალგაზრდა კიშინიოველი მოჭადრაკე მოსიონჟიკის ენერგიული თამაში. ესპანურ პარტიაში ნეისთან მოსიონჟიკმა ბრძოლა კომბინაციურ ყაიდაზე წარმართა. მან შეწირა ეტლი ფიგურასა და სამ პაიკში. ენერგიული მანევრებით მოსიონჟიკმა ერთ-ერთი პაიკი მე-7 ჰორიზონტალამდე მიიყვანა, ხოლო როცა ლაზიერში მისი გასვლა გარდაუვალი გახდა, ნეიმ მიულოცა მოსიონჟიკს გამარჯვება.

დანარჩენ შეხვედრებში როიზმანმა დაამარცხა არაქელოვი, გრუშევსკიმ — ანოხინი. ყაიმით დასრულდა ბუსლაევ-უსტინოვისა და ზახარიან-ჰალილბეილის პარტიები.

ორი პარტია გადაიდო. ლომაიას უკეთესი პოზიცია აქვს კალანტართან, ხოლო პავლენკოს — პრესთან.

V ტურის შემდეგ ტურნირს ლიდერობენ როიზმანი — 4,5 ქულა, კლოვანი — 4 ქულა და ერთი გადადებული პარტია და მოსიონჟიკი — 4 ქულა.



მხარიდან

# II. სხვა ვიმპელებმაც ილაპარაკონ ჩვენზე

...ვისაც ყამირი მიწების მხარე ...მხოლოდ ტრამალებითა და პურის ...ანებითა აქვთ წარმოდგენილი, ...ლაპრულ სამოთხედ მოეჩვენება ...ტაშკენტის რაიონის ცხენსაშენი ...სადგურის ადგილმდებარეობა:

...ბროლივით წმინდა, კამკამა ტბის ...პირას, არყის ხის ხშირ ტყეში ...მოქცეულა ცხენსაშენი სადგურის ...ერწმით ნაგები სტანდარტული ...-სამოთახიანი სახლები. მკითხ...ელს რომ აქაურობაზე სრული ...წარმოდგენა შევუქმნათ, ვიტყვით, ...რომ ცხენსაშენი სადგურის მეურ...ნეობა მარტო ორლოვის ჯიშის სა...უკეთესო ცხენების მოშენებით არ ...შემოიფარგლება. სადგურს 111 ავტო...მანქანა და 173 ტრაქტორი გააჩ...ნია, 4.000 სული მსხვილფეხა საქონელი და 3500-ზე მეტი ღორი ...ჰყავს.

ცხენსაშენი სადგურის დირექტორის ვ. პუზარევის მოსვლამდე ...თითქმის გავეცანით ფიზკულტურისა და სპორტის აქტივისტებს, რომელთა ნაწილს ადრე სემინარებზე დასწრებით ვიცნობდით, ყოველგვარ ზომასა და სიზუსტეს მოკლებული ფრენბურთის და ფეხბურთის მოედნები, არცერთი თანრიგოსანი სპორტსმენი, მინდვრის მონადირეთაგან შემდგარი ტყვიით მსროლელთა თავისებური სექცია — ეს იყო და ეს ჩვენი საშეფო ობიექტის ფიზკულტურულ-სპორტული ავლადიდება, თუმცა მათ სასიამოვნო სიურპრიზიც დაგვახვედრეს.

დირექტორის კაბინეტში თვალსაჩინო ადგილებზე იყო ცხენსაშენი სადგურის ცხენების მიერ მოპოვებული პრიზები. მალე 1948 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ჩემპიონიც — წმინდა ჯიშის ცხენების საუკეთესო წარმომადგენელი „ქეტონიც" გავიცანით. ეს ძვირფასი ცხენი, რომელმაც თავის დროზე 1600 მეტრი 2.10,2 წუთში გაირბინა და ოქროს დიდი მედალი მოიპოვა, ამჟამად მწარმოებლად ჰყავთ გამოყენებული. „ქეტონი" ამართლებს დაკისრებულ მოვალეობას და ცხენსაშენ რემაში მისი 304 შთამომავალი ითვლება.

ცხენსაშენი სადგურის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ლ. დუბროვინა და ფიზკულტურული კოლექტივის (ჯერჯერობით მხოლოდ პირობითად ვუწოდებთ) თავმჯდომარე თ. პეტრიდი სპორტის ენთუზიასტები არიან, მაგრამ მის ორგანიზაციულ და თეორიულ საფუძვლებში საკმაოდ მოიკოჭლებენ.

ამ ხარვეზების გამოსასწორებლად საქართველოს საშეფო ბრიგადის წევრებმა ბ. კოვალიოვმა, რ. გალუსტოვმა და ა. იორდანაშვილმა ადგილობრივი სემინარი ჩაატარეს და მოეხმარნენ მუშებს მარტივი ტიპის მოედნების სტანდარტულ ბაზებად გადაკეთებაში.

... საღამოს ჩვენს შტაბში იკრიბებიან ალექსანდროვსკის, რაზდოლნისა და კურბსკის მეურნეობებში ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის ამოსაწევად გასული ამხანაგები ტ. უგრეხელიძე, ა. რატია, ზ. ბალდავაძე და ა. ბურჭულაძე. საერთო დასკვნა ერთია — ახალგაზრდობა მეურნეობაში მუშათა 75-80 პროცენტს შეადგენს, დამხმარე მეთოდური ლიტერატურის და პრაქტიკული სემინარების ჩატარების წყალობით ფიზკულტურული მუშაობის ყინული დაიძრა, კმაყოფილნი არიან მასპინძლები.

სხვა მეურნეობებთან შედარებით ყველაზე კარგი მდგომარეობა მაინც ცხენსაშენ სადგურშია, რისთვისაც სპორტსაზოგადოება „განთიადის" ვიმპელით, რომელსაც „მეგობრობის ვიმპელი" ვუწოდეთ, ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარე — ბერძენი თევდორე პეტრიდი დავაჯილდოვეთ. მან კი თავისი ორი ფრენბურთელი ძმისა და მეურნეობის ფიზკულტურელთა სახელით გვითხრა:

— მადლობას ვერ გეტყვით, იგი ცარიელი სიტყვაა. თუ შეფობას არ შეწყვეტთ და გაისადაც გვესტუმრებით, მაშინ ჩვენს მიერ სპორტულ ბრძოლებში მოპოვებულმა სხვა ვიმპელებმა ილაპარაკონ თქვენგან დაძრული საქმის ავკარგიანობაზე.

**გ. სამსონაძე,**
**ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.**

# არის 2 რეკორდი!

ლვოვში მიმდინარეობს სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა პირველობა სროლაში. შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდნენ თბილისელი სპორტსმენები. სამატჩო პისტოლეტიდან სროლაში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ქალთა გუნდმა მოიპოვა პირველი ადგილი, ხოლო კ. ფატეევამ შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა, დაიკავა რა მეორე ადგილი სამატჩო პისტოლეტიდან 50 მეტრზე სროლაში შედეგით — 266 ქულა.

რესპუბლიკის 2 ახალი რეკორდი დაამყარა სპორტის ოსტატმა შ. ქველიაშვილმა. მან 300 მეტრზე საბრძოლო ნებისმიერ სტანდარტში (3×20) დააგროვა 566 ქულა. ეს შედეგი რესპუბლიკის ახალი რეკორდია. მანვე ჩოქელა მდგომარეობიდან დააგროვა 196 ქულა და ახალი შესწორება შეიტანა რესპუბლიკის რეკორდების ცხრილში.

* * *

**სურათზე:** შ. ქველიაშვილი რეკორდის დამყარების შემდეგ.

ფოტო ი. იუნაევისა.

ჩვენს რედაქციაში მრავალი წერილი შემოდის ჭადრაკის გულშემატკივრებისაგან, რომლებიც გვთხოვენ კიდევ და კიდევ ვუპასუხოთ მთელ რიგ შეკითხვებზე ბოტვინიკ-ტალის მატჩ-რევანშის ირგვლივ.

ვპასუხობთ შ. ასათიანს (წყალტუბოს რაიონი), გ ალიბეგაშვილს (ყაზბეგის რაიონი), ც. კიშიბაძეს (ვანის რაიონი) და სხვებს. ვსარგებლობთ შემთხვევით და ვბეჭდავთ ბოტვინიკის უკანასკნელ პრეს-კონფერენციაზე გაცემულ პასუხებს. ვიმედოვნებთ, რომ ისინი დააკმაყოფილებენ ჩვენს მკითხველებს.

**შეკითხვა:** გამოცემთ თუ არა თქვენს წიგნს მატჩის შესახებ და როდისათვის უნდა ველოდოთ მას?

**ბოტვინიკი:** მე ჯერ არ გადამიწყვეტია. უნდა გითხრათ, რომ მსოფლიო პირველობაზე მატჩის პარტიების ანალიზი ძნელი სამუშაოა. ამასთან, როცა წიგნი დაიწერება, იწყება მძიმე მუშაობა მის გამოსაცემად: ჩასწორება, კორექტურები. ამ საქმეს კი თითქმის ერთი წელი დასჭირდება. ამიტომ ჯერ ვერ გადამიწყვეტია, დავწერ თუ არა მას.

**შეკითხვა:** როგორია თქვენი პირადი დამოკიდებულება ტალთან?

**ბოტვინიკი:** კარგი. როგორც ეს დიდიხანია ცნობილი, მე გამოვირჩევი გულჩათხრობილი ხასიათით და ამიტომ იშვიათად თუ ვისმეს ვხვდები.

**შეკითხვა:** რომელი საბჭოთა ან უცხოელი მოჭადრაკე შეიძლება გახდეს თქვენი მეტოქე 1963 წლის მატჩში?

**ბოტვინიკი:** პრეტენდენტთა ტურნირში შეიძლება პირველი იყოს ყოველი საბჭოთა გროსმაისტერი, რომელიც მასში მოხვდება. უცხოელებისაგან შანსები აქვთ ფიშერსა და გლიგორიჩს.

**შეკითხვა:** მატჩ-რევანშების გამართვა გაუქმებულია. მიგაჩნიათ თუ არა ეს სწორად?

**ბოტვინიკი:** ფიდეს ეს გადაწყვეტილება მე შეცდომად მიმაჩნია და ვიმედოვნებ დროთამსვლელობაში მატჩ-რევანშების გამართვა აღსდგება. არ ვიცი ტალმა შეიცვალა აზრი თუ არა, ხოლო შარშან იგი სთვლიდა მატჩ-რევანშების აუცილებლობას. საქმე ისაშია, რომ ახალგაზრდა მოჭადრაკეებს აინტერესებთ მსოფლიო ჩემპიონის თამაში, შეძლება თვით ეს წოდება არ [illegible]. რადგან ყველასათვის ნათელია, რომ ამჟამად მსოფლიოში არის გროსმაისტერების ერთი ჯგუფი, რომლებიც დაახლოებით ერთი ძალით თამაშობენ, მაგრამ ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონობისათვის აიძულებს ამ გროსმაისტერებს კიდევ უფრო სრულყონ თავიანთი ოსტატობა. ამასთან ბრძოლა მსოფლიო პირველობისათვის ზრდის ჭადრაკის პოპულარობას. ამ მოსაზრებათა გამო საჭიროა შეიქმნას ისეთი პირობები, რომ ჩემპიონი შემთხვევითი კაცი არ გახდეს. 1963 წელს მე საკმაოდ ხანდაზმული ვიქნები და ამიტომ შეიძლება არც ვითამაშო მატჩი მსოფლიო პირველობაზე. ბოლო 15-20 წლის მანძილზე ყველაზე სტაბილურ მოჭადრაკეებად შეიძლება ჩაითვალონ მხოლოდ კერესი, სმისლოვი და მე. ამიტომ სწორი იქნება ამ სამეულიდან უმრავლესობა მონაწილეობდეს მსოფლიო პირველობაში.

შემდეგ ამ აზრის დასასაბუთებლად ბოტვინიკი ამბობს: საზონათშორისო ტურნირის მონაწილეებს საბჭოთა კავშირიდან პირველ რიგში, პეტროსიანსა და კორჩნოის, რომლებიც სერიოზულად ფიქრობენ გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები, არ უნდა ჰქონდეთ რაიმე საწინააღმდეგო, რომ სმისლოვი დაშვებული იქნას საზონათშორისო ტურნირში. მათი სურვილია ჩემპიონობის მოპოვება და, რასაკვირველია, გახდებიან ექს-ჩემპიონებიც. ამიტომ მათთვის დიდი პატივი იქნება წაიკითხონ ფიდეს წესებში, რომ ისინი პერსონალურად მოწვეულნი იქნებიან საზონათშორისო ტურნირზე **(ფიდემ გაითვალისწინა მ. ბოტვინიკის წინადადება — მ. ეივე და ვ. სმისლოვი მიიწვია საზონათშორისო ტურნირზე. რედ.).**





**საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი ყოველწლიურად ამზადებს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ მოძმე რესპუბლიკების სკოლებისა და ფიზკულტურული კოლექტივებისათვის. ახლა ინსტიტუტში ცხარე დღეებია — მისაღები გამოცდები მიმდინარეობს. მიმღები კომისიის წევრების საერთო აზრით არც თუ ცუდი შევსება მოვიდა. რომელი გახდება საბჭოთა სტუდენტის საამაყო სახელის მფლობელი, ამას გამოცდების შედეგები დაგვანახვებს.**

**სურათებზე: ტანვარჯიშსა და მძლეოსნობაში აუცილებელ ნორმატივს აბარებენ აბიტურიენტები.**

**ფოტო მ. ზარგარიანისა.**

## გერმანელი ჟურნალისტის თვალით

ქაიროში მყოფი გერმანელი ჟურნალისტი ქ. ლანგბაინი ჟურნალ „ფუსბალ-ვოჰეს“ მკითხველებს მოუთხრობს აქ მყოფი ბრაზილიური კლუბების „ბოტაფოგოსა“ და „ფლუმინენზეს“ შესახებ.

არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში უკანასკნელი წლების მანძილზე იმოგზაურეს მსოფლიოს უძლიერესმა ფეხბურთელებმა. აქ პარცხი განიცადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა (1:0), შარშან ჩატარდა ბრაზილიელთა გასტროლები, წელს—მადრიდის „რეალისა“, რომლის მატჩი ადგილობრივ ნაკრებთან უკვე მეოთხედ იქნა გადაცემული ტელევიზიით. ეს ფეხბურთისადმი დიდ ინტერესზე მეტყველებს.

„ბოტაფოგოს“ წინააღმდეგ პირველად ითამაშა „ზამალეკმა“, რომელიც ეროვნული ნაკრების მოთამაშეებით იყო გაძლიერებული. „ბოტაფოგოს“ შემადგენლობაში იყვნენ გარინჩა, დიდი და ზაგალო.

ანგარიში გახსნეს მასპინძლებმა. მათ დიდხანს ჰქონდათ ტერიტორიული უპირატესობა, მაგრამ შემდეგში ინიციატივა ხელთ იგდო „ბოტაფოგომ“ და შეხვედრაც მის სასარგებლოდ დამთავრდა — 2:1.

„ფლუმინენზემ“ დაამარცხა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ჩემპიონი „ნაციონალ სპორტინგ კლუბი“ (2:1) და „ტანტა“ (3:0).

**ინგლისი.** კურორტ ბოგნორ-რიჯისში გაიმართა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 12 მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა. პირველი ადგილი 9,6 ქულით დაიკავა ბელგიელმა გროსმაისტერმა ოკელიმ.

**რომი.** იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ დააჯარიმა მილანის კლუბი „ინტერნაციონალე“. ამ კლუბის გუნდმა, რომელიც დიდხანს ლიდერობდა შეჯიბრებას, შემდეგ პირველი ადგილის შანსები დაკარგა და არასერიოზულად მოეკიდა დასკვნით თამაშებს. ერთ-ერთ დასკვნით მატჩში „ინტერნაციონალე“ მოედანზე გამოვიდა 11 სათადარიგო მოთამაშით.

**არგენტინაში** (ქ. სანტა-ფე) გამართულ პატარა საერთაშორისო ტურნირში ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია ამერიკელმა ოსტატმა რ. ბირნმა, რომელმაც ორი ქულით გაუსწრო შემდეგ ადგილებზე გასულ გროსმაისტერებს მატანოვიჩს (იუგოსლავია), ფილიპს (ჩეხოსლოვაკია) და როსეტოს (არგენტინა).

**მიუნხენი.** მსოფლიო რეკორდსმენი მძლეოსანი მარტინ ლაუერი მოათავსეს საავადმყოფოში. მისი მდგომარეობა მეტად მძიმეა... მას აქამდე არაერთგზის გაუკეთეს მარცხენა ფეხის ოპერაცია, ხოლო ამჯერად ექიმები მოითხოვენ ამ ფეხის მოკვეთას.

**იტალია.** ქალაქ სპეციაში მოეწყო ტრადიციული საჭადრაკო ფესტივალი, რომელზეც ჩამოვიდა სხვადასხვა ქვეყნის 63 წარმომადგენელი. მთავარ ტურნირში პირველი იყო გერმანელი ფლეიშმანი, ხოლო მეორე — იუგოსლაველი კაკოვიჩი.

**პოლონეთი.** დამთავრდა რესპუბლიკის XVIII ჩემპიონატი. ჩემპიონის სახელი წილად ხვდა ოსტატ ტარნოვსკის — 12 ქულა 17-დან. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა საერთაშორისო ოსტატი სლივა.

**ჰავანა.** აქ ჩატარებულ მორბენალთა შეჯიბრებაში საუცხოო შედეგს მიაღწია კუბელმა სპორტსმენმა ფიგუელამ, რომელმაც 100 მეტრი გაირბინა 10,3 წამში.

**ბუქარესტი.** აქ დამთავრდა ბალკანეთის თასის გათამაშება კრივში. პირველი ადგილი დაიკავა რუმინეთის გუნდმა (32 ქულა), მეორეზეა ბულგარეთის გუნდი (25 ქულა), მესამეზე — საბერძნეთი (17 ქულა).

**მადრიდი.** საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში მონაწილეობა მიიღო 12 გროსმაისტერმა და ოსტატმა. პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს საერთაშორისო ოსტატებმა რობაჩმა (ავსტრია) და მილიჩმა (იუგოსლავია), რომელთაც 8,5 ქულა მოაგროვეს. გამარჯვებულებს ერთი ქულით ჩამორჩა გროსმაისტერი ოკელი (ბელგია).

**კოპენჰაგენი.** ტრადიციული შეხვედრა დანიისა და ნორვეგიის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის ამჯერად გაიმართა ვიბორგში (დანია). გაიმარჯვეს დანიელებმა ანგარიშით 2:0.

**სარაევო.** (იუგოსლავია) ჰიტლერული ჯარებისაგან განთავისუფლების 16 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ საერთაშორისო ტურნირში I-II ადგილები გაიყვეს გლიგორიჩმა (იუგოსლავია) და პახმანმა (ჩეხოსლოვაკია).

**ბრიუსელი.** საჭადრაკო სამყარომ მწუხარებით შეიტყო წარსულში გამოჩენილი გროსმაისტერის აკიბა რუბინშტეინის გარდაცვალება ბრიუსელში 78 წლის ასაკში.

## სიუარესი კვლავ ჩემპიონია

ლუის სიუარესმა მესამეჯერ მოიპოვა ესპანეთის ჩემპიონის წოდება საგზატკეცილო ველორბოლაში 100 კილომეტრზე. მან ეს დისტანცია დაფარა 2 საათსა და 26.47 წუთში. მეორე ადგილი დაიკავა ლორანომ.

რედაქტორი ი. უგულავა.

15 აგვისტო
„ბურევესტნიკის“ სტადიონი
ფეხბურთი
სსრ კავშირის თასის გათამაშება
„ლოკომოტივი“ (თბილისი)-
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)
დასაწყისი 17 ს 45 წ.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-96.
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01107